



ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია

შემაჯამებელი ანგარიში

აბსტრაქტი, მოკლე მიმოხილვა - დაინერება ყველაზე ბოლოს



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ავტორი: ირინე ურუშაძე

ანგარიშზე მუშაობდნენ: დავით გიგაური

ოქტომბერი 2016

სარჩევი

მიმოხილვა	2
საარჩევნო სისტემა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები	4
არასამართლიანი სისტემა - 48%=76%	4
მანდატების არაგონივრული განაწილება	4
საარჩევნო ოლქების არაგონივრული საზღვრები - Gerrymandering?!.....	6
დაკარგული ხმები	6
დევენილის მოწმობა - ბარიერი ხმის მიცემისას.....	7
წინასაარჩევნო გარემო	10
ინსტიტუციური რესურსების გამოყენება	10
საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება და მათი აგიტაციაში მონაწილეობა.....	10
წინასაარჩევნო პერიოდის მთავარი პრობლემა - ურთიერთდაპირისპირება.....	11
ამომრჩევლების ნების გამოვლენაზე ზეგავლენა.....	12
საარჩევნოდ დაგეგმილი ბიუჯეტები	12
გორის მუნიციპალიტეტების შესაძლო საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯები.....	12
ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შესაძლო საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯები.	14
არჩევნების დღის მონიტორინგი.....	15
I ტური	15
კვალიფიკაციის ნაკლებობა - დარღვეული პროცედურები	15
აგიტაცია საარჩევნო უბანზე.....	16
ხმის დათვლის პროცესი - ძალადობა და არჩევნების შავი ლაქა	17
განმეორებითი კენჭისყრა.....	17
ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა.....	17
არჩევნების მეორე ტური	18
დაპირისპირება და წესრიგის დარღვევა.....	18
ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა.....	19
დამკვირვებლის საქმიანობისთვის ხელის შეშლა.....	19
მთავარი გამოწვევა - კვალიფიკაცია	20
შეჯამება	22

ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია

შემაჯამებელი ანგარიში

მიმოხილვა

არასამთავრობო ორგანიზაციების „საუნჯე“, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“, „ნაბიჯი სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ“ და „ჰელფინგ ჰენდი“ პროექტი „ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია“ მიზნად ისახავდა წინასაარჩევნო პერიოდის და არჩევნების მონიტორინგს, რომლის შეჯამება წინამდებარე ანგარიშია.

მისიამ 30 სექტემბერს გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში, სადაც წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი იყო წარმოდგენილი, ამ ეტაპზე კი დაკვირვების საბოლოო შედეგებს შემოგთავაზებთ, სადაც ერთის მხრივ, წინა ანგარიშში წამოჭრილ საკითხებზე იქნება საუბარი და მის შემდგომ გამოვლენილ პრობლემებზეც.

აღსანიშნავია, რომ მისია დააკვირდა ხმის მიცემის და დათვლის პროცედურებს სამივე კენჭისყრის დღეს - პირველ ტურში, განმეორებით არჩევნებზე და მეორე ტურში. ამ პროცესში გამოქვეყნდა რამდენიმე საჯარო განცხადება, თითოეული დღე შეჯამდა მოკლე ანგარიშით, დაიწერა რამდენიმე განცხადება და საჩივარი. ამ პროცესის მთავარი მიგნებები და პრობლემები ქვემოთ იქნება მიმოხილული.

სადამკვირვებლო მისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოავლინა. ცხადი გახდა, რომ საარჩევნო სისტემა და არჩევნების მომწესრიგებელი რამდენიმე ნორმა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოშობს. მაგალითისთვის, ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის ნების უგულვებლყოფა და დევნილთა მიერ ხმის მისაცემად შექმნილი ბარიერი საკმაოდ სერიოზულ ხარვეზად მიგვაჩნია და მათი შენარჩუნების შემთხვევაში ვგეგმავთ მათი კონსტიტუციურობის საკითხის დაყენებასაც.

მთავარ პრობლემად გვესახება არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება. წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეებში მომხდარი ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირებები უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე, იმედს ვიტოვებთ, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ეფექტიანი ნაბიჯები გადაიდგმება.

ასეთივე სისტემურ ხარვეზად მიგვაჩნია კენჭისყრის დღეს პროცედურების დაცვა, ერთის მხრივ, საარჩევნო კომისიების კვალიფიკაციის ნაკლებობა, ზემდგომი კომისიების მხრიდან რეაგირების ნების არარსებობა და სხვადასხვა მხარის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობამ არაერთი პრობლემა წამოჭრა.

წინამდებარე ანგარიში აგებულია საარჩევნო პროცესის ქრონოლოგიურად, პირველ რიგში გამოყოფილია საარჩევნო სისტემის და კანონმდებლობის პრობლემები, შემდეგ გარჩეულია წინასაარჩევნო პერიოდი - ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები და ამ პერიოდის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, ხოლო ბოლოს ცალ-ცალკეა განხილული კენჭისყრის სამივე დღე და ამ დროს წამოჭრილი ხარვეზები. ანგარიშში გადმოცემულია ჩვენი შეხედულებები და რეკომენდაციები პრობლემების მოგვარებისათვის.

საარჩევნო სისტემა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმები

არასამართლიანი სისტემა - 48%=76%

„ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისიის“ მიერ სექტემბრის ბოლოს გამოქვეყნებულ შუალედურ ანგარიშში საუბარი გვქონდა საარჩევნო სისტემაზე, როგორც მარეგულირებელ რესურსზე. კერძოდ, ვაცხადებდით, რომ არსებული საარჩევნო სისტემით 50%+1 ხმის მოგროვების შემთხვევაში ერთი პარტია აკომპლექტებდა საკონსტიტუციო უმრავლესობას. 2016 წლის არჩევნებმა დაგვანახა, რომ ეს რეალობაა და მმართველმა ძალამ მხოლოდ 48%-იანი მხარდაჭერით პარლამენტის მანდატების 76% მოიპოვა. ამისათვის მას, მართალია, არჩევნების ორი ტური დასჭირდა, თუმცა ფაქტია, საარჩევნო სისტემამ მისცა საშუალება ამომრჩეველთა ნების შეუსაბამო სურათი შეექმნა საქართველოს პარლამენტში.


ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსხვავებით 2012 წლის არჩევნებისა, სადაც მოქმედებდა პრინციპი, winner takes it all (გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი), 2016 წლის არჩევნებისათვის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გამარჯვებისათვის საჭირო გახდა 50%-იანი ბარიერის გადალახვა, ნაცვლად უბრალოდ ყველაზე მეტი ხმის დაგროვებისა. ამ ცვლილებამ სურათი მხოლოდ იმით შეცვალა, რომ შეიქმნა მეორე ტურის საჭიროება ამა თუ იმ ოლქში გამარჯვების მოსაპოვებლად. მისი არსებობის გარეშე მაინც იმავე შედეგს მივიღებდით.

ცხადია, მსგავსი სისტემა არაა სამართლიანი და არ იძლევა ამომრჩეველთა ნების ასახვის სწორ შესაძლებლობას. ზოგადად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არსებობა მიზანშეწონილია შედარებით უფრო დეცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის, როდესაც რეგიონულ წარმომადგენლობას აქვს მნიშვნელობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი თავისუფალია, ე.ი. იგი არ წარმოადგენს მის ამომრჩეველ ტერიტორიულ რგოლს, შესაბამისად, მაჟორიტარი დეპუტატის როლია ცალკეული ტერიტორიული რგოლის არჩევანი აისახოს პარლამენტში. 2016 წლის არჩევნებისათვის შეცვლილი ოლქების საზღვრებმა კი ცალკეული მუნიციპალიტეტების ბმა მაჟორიტარ დეპუტატთან ფაქტობრივად წაშალა და მთლიანად დაუკარგა აზრი მაჟორიტარულ სისტემას.


მიგვაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიული წყობა არ იწვევს მაჟორიტარული სისტემის არსებობის საჭიროებას და აუცილებელია სისტემის შეცვლა უფრო სამართლიანი და ამომრჩეველის ნების სათანადოდ ასახვის შესაძლებლობის მომცემი სისტემით.

მანდატების არაგონივრული განაწილება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლი განსაზღვრავს მანდატების განაწილების წესს. ამ მუხლის თანახმად კი პროცედურა შემდეგი სახისაა:



2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად:¹



ასეთი გადანაწილება არ წარმოადგენს გონივრულ გზას, მაშინ, როდესაც შესაძლებელია თავისუფალი მანდატები პროპორციულად განაწილდეს მიღებული ხმების მიხედვით. ასევე, შესაძლებელია, მანდატების განაწილება თავიდანვე სხვაგვარად მოხდეს - მიღებული პროცენტების ჯამის 100-მდე აყვანით, რაც პირდაპირ გამოსახავდა ამომრჩევლის ნებას.

¹ მანდატების დასათვლელად გამოყენებულია ცესკოს პროპორციული არჩევნების შემაჯამებელი ოქმი: <http://cesko.ge/res/docs/ShemajamebeliProporciuli2016.pdf>

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო სისტემის არსებული მოდელი არაგონივრულია და არათანაბარზომიერად გამოხატავს ამომრჩევლის ნებას, რომლის შედეგადაც მმართველი ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობას აგროვებს, არაგონივრულ მაჟორიტარულ სისტემასთან ერთად. ეს არა მხოლოდ ამომრჩევლის, არამედ არჩეული საარჩევნო სუბიექტების კონსტიტუციურ უფლებებსაც არღვევს.

საარჩევნო ოლქების არაგონივრული საზღვრები - GERRYMANDERING?!

სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშში საარჩევნო სისტემაზე საუბრისას ხაზი გაუვსვით საარჩევნო ოლქების არაგონივრულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე საარჩევნო ადმინისტრაციამ ოლქები დაყო ამომრჩეველთა რაოდენობის გამო, რის შედეგადაც ტერიტორიული, კულტურული, ისტორიული საკითხები უგულვებელყოფილი იქნა.

მიგვაჩნია, რომ დღეს მოქმედი მაჟორიტარული სისტემა მთლიანად უსამართლოა და არ იძლევა ამომრჩეველთა ნების თანაზომიერად ასახვის შესაძლებლობას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაჟორიტარული სისტემა მთლიანად მიუღებელია. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილი ოლქები კი საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

მაგალითისთვის, გორის თემის მუნიციპალიტეტში საარჩევნო ოლქის შექმნისას ისე გადანაწილდა საზღვრები, რომ ცალკეული სოფლები სხვა მუნიციპალიტეტში მოექცა - სოფლები ქვახვრელი და უფლისციხე კასპის მუნიციპალიტეტში აღმოჩნდა, სოფლები ვარიანი და ახალდაბა კი ქარელში. აღნიშნული სოფლების განსხვავებულ მუნიციპალიტეტში მოხვედრა, შესაძლოა, მთლიანად ტექნიკური თვალსაზრისით იყოს გამოწვეული, თუმცა არაა გაქარწყლებული ექვები, რომ ასეთი გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებული იყოს. ასეთი ქმედება კი საარჩევნო პრაქტიკაში ცნობილია "Gerrymandering" სახელით, როდესაც ცალკეული პოლიტიკური ძალისათვის უპირატესობის მინიჭებისათვის ხდება საარჩევნო ოლქების საზღვრების მანიპულირება. აუცილებელია, კანონი ოლქების საზღვრების დადგენის ისეთ კრიტერიუმებს იძლეოდეს, რომ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული იყოს.

დაკარგული ხმები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად:

„პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტია.“

ამ ნორმის თანახმად, მცირე რაოდენობის ხმები, მიუხედავად იმისა, გადამწყვეტი ბუნება აქვთ თუ არა, კარგავენ მნიშვნელობას. მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტი სულ მცირე რაოდენობის, თუნდაც 1 ხმით, გადალახავს საარჩევნო ბარიერს,

რადიკალურად იცვლება პროპორციული სისტემით დამდგარი შედეგები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ იღებს ბარიერის შესაბამის მანდატებს და მას ემატება მანდატები. ასეთ დროს, ერთი უბნის შედეგებიც კი შეიძლება გადამწყვეტი იყოს არჩევნების საერთო შედეგისათვის.

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე გაბათილდა 9 უბნის შედეგები, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტი არაა, თუმცა მათი შედეგები პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებზე გადამწყვეტ გავლენას იქონიებდა.² მიუხედავად ამ უბნების შედეგების ამდენად დიდი მნიშვნელობისა, მათი ამომრჩევლების ხმის უფლება პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში დაკარგულია და მათი ხმა - უგულვებელყოფილი.

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობის ზემოთხსენებული მოთხოვნა არღვევს ამომრჩეველთა ხმის უფლებას. ცხადია, არჩევნების ადმინისტრირების თვალსაზრისით გარკვეული ზღვარის არსებობა აუცილებელია, თუმცა ეს ზღვარი შესაძლოა იყოს უფრო გონივრული და ადამიანის უფლების ნაკლებ მზლუდავი. მაგალითად, მიზმული იყოს საარჩევნო ბარიერთან ან განისაზღვრებოდეს, რამდენად მოქმედებს ამა თუ იმ უბნის შედეგები საერთო შედეგზე. ეს უკანასკნელი გზა მიგვაჩნია სწორედ ყველაზე გონივრულად და კონსტიტუციასთან შესაბამისად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოთაღნიშნული ნორმის თანახმად, 10%-იანი ბარიერი ითვლება არა არჩევნებზე მოსული ამომრჩევლების რაოდენობიდან, არამედ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მიხედვით, რაც კიდევ უფრო ზრდის იმ ამომრჩევლების რაოდენობას, რომელთა ხმის უფლება შეიძლება ამ ნორმის შედეგად დაირღვეს. უკანასკნელი რამდენიმე არჩევნების აქტივობის სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, 60%-ზე მაღალი აქტივობა თითქმის არ დაფიქსირებულა.

შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის მე-17 პუნქტი, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლს, საარჩევნო უფლებას და ვგეგმავთ მივმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

დევნილის მოწმობა - ბარიერი ხმის მიცემისას

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე და 65-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირს ხმის მისაცემად სჭირდება დევნილის მოწმობა.

² ორი საარჩევნო სუბიექტის შედეგები იყო ზღვარზე, „პატრიოტთა ალიანსს“ მცირე რაოდენობის ხმები ეყო 5%-იანი ბარიერის გადასალახად, ხოლო „თავისუფალ დემოკრატებს“ დაახლოებით 4-ათასი ხმა დააკლდა ბარიერის გადასალახად.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის თანახმად, დევნილის მოწმობა არის:

„სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანოს (შემდგომ – ტერიტორიული ორგანო) მიერ დევნილზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებას. თუ დევნილის რეგისტრაციის ადგილი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ერთმანეთს ემთხვევა, დევნილის მოწმობა ასევე არის საცხოვრებელი ფართობის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შემთხვევისა.“

დევნილის მოწმობა პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, ძირითადად იგი ბავშვისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებისას ან საცხოვრებლის შეცვლისას არის აუცილებელი. შესაბამისად, მისი მუდმივად თან ქონა დევნილისათვის არანაირ პრაქტიკულ ან სამართლებრივ აუცილებლობას არ წარმოადგენს. მართალია, იგი გამოიყენება პიროვნების იდენტიფიცირებისათვის, თუმცა პირადობის მოწმობის გარეშე მას არ აქვს იურიდიული ძალა.

კენჭისყრის დღეს იძულებით გადაადგილებულ პირს არ ეძლევა ხმის მიცემის უფლება, თუ არ წარადგენს დევნილის მოწმობას. აღნიშნულის გამო არაერთმა დევნილმა ვერ მოახერხა ხმის მიცემა. ერთ-ერთ უბანზე კი „ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისიის“ დამკვირვებელმა დააფიქსირა შემთხვევა, როდესაც დევნილს გაუკეთდა მარკირება და შემდეგ დადგინდა, რომ მოწმობა თან არ ჰქონდა, რის გამოც მან მოგვიანებითაც ვერ შეძლო ხმის მიცემა, მიუხედავად იმისა, რომ შინ მიბრუნებულმა იპოვნა მოწმობა და მიბრუნდა უბანზე.

ცხადია, იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციის მისამართი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ვერ გამოდგება მის საარჩევნო სიაში შესატანად და საჭიროა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის როგორმე აღრიცხვა, თუმცა დევნილის მოწმობის თან ქონა, მიგვაჩნია, რომ გაუმართლებელი შეზღუდვაა და უფლების ნაკლებად შეზღუდვით შეიძლება საარჩევნო სიის შედგენისას და ხმის მიცემისას ამ საკითხის დარეგულირება. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირის რეგისტრაციის მისამართი არაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ემთხვევა მის ფაქტობრივ ადგილსამყოფელს. ამ დროს დევნილის მოწმობის წარდგენის მიზანი - ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დადგენა, მთლიანად კარგავს აზრს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ID ბარათის მფლობელი დევნილის რეგისტრაციის მისამართი, ისევე, როგორც სხვა მოქალაქეთა რეგისტრაციის მისამართი ამ ბარათით არ დგინდება და ამომრჩევლის ხმის მიცემისას სიაშია მხოლოდ მისამართი მითითებული. შესაბამისად, თუ სხვა მოქალაქის რეგისტრაციის მისამართის დადგენა შესაძლებელია ისეთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სადაც მისამართი იქნება მითითებული, იგივე შეიძლება მოხდეს დევნილის შემთხვევაშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა, იძულებით გადაადგილებულმა პირმა აუცილებლად დევნილის მოწმობის საშუალებით მისცეს ხმა, დისკრიმინაციულია და არათანაბარზომიერად ზღუდავს დევნილთა საარჩევნო უფლებას. ვგეგმავთ, ამ საკითხზე მივმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოვითხოვოთ შესაბამისი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა.

წინასაარჩევნო გარემო

ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი კომპონენტი იყო წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი. პროექტის ფარგლებში აღნიშნულ საკითხს მთლიანად დაეთმო შუალედური ანგარიში, სადაც მისიის აღმოჩენილი ფაქტები აისახა. რამდენიმე მათგანზე განცხადება/საჩივარიც დაიწერა და შედეგებიც დადგა. ამ ქვეთავში ძირითად ტენდენციებზე და ცალკეულ მნიშვნელოვან ფაქტებზე იქნება საუბარი.

ინსტიტუციური რესურსების გამოყენება

8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსებიდან ყველაზე ხშირად სწორედ ინსტიტუციური რესურსების გამოყენება ხდებოდა, თუმცა ასეთი ფაქტების რაოდენობა, ისევე, როგორც მათი გამოყენების მასშტაბები საგანგაშო ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს ეს შემთხვევები. სწორედ ამიტომ მისიამ დეტალურად ასახა შუალედურ ანგარიშში ყველა შესაძლო ფაქტი და საჭიროების შემთხვევაში მიმართა უფლებამოსილ ორგანოებს გამოკვლევის მიზნით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე სააგიტაციო მასალების გამოქვეყნების ფაქტი, რაზედაც მისიამ მიმართა ცესკოს და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება. ცესკომ აღნიშნული საჩივარი დააკმაყოფილა და შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმ პირის მიმართ, ვინც პასუხისმგებელი იყო ამ გვერდის მართვაზე. მართალია, მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებელი პირი უწყების ხელმძღვანელი - მინისტრია, თუმცა ცესკოს მიერ ჩატარებულმა მოკვლევამ სწორედ გვერდის უშუალო ადმინისტრატორი დაადგინა სამართალდამრღვევ პირად. მნიშვნელოვანია, ასეთი ხასიათის კანონდარღვევებზე დროული და ადეკვატური რეაგირება მათი პრევენციისათვის.

მისიამ ასევე დააფიქსირა რამდენიმე სხვა შემთხვევა, რომელთაგან ზოგიერთი არ წარმოადგენდა კანონდარღვევას, თუმცა მიუთითებდა უარყოფით ტენდენციაზე, რომ პოლიტიკური პარტია და ხელისუფლება აღრეულია ერთმანეთში. მაგალითისათვის ასეთი იყო ზუგდიდის მერიის ორგანიზებულ ღონისძიებაზე საარჩევნო სუბიექტების წარმოჩენა, ქალაქ გორის თვითმმართველობის ერთ-ერთი დაწესებულების შენობის გამოყენება (თუმცა გორის საოლქო კომისიამ მოკვლევის შედეგებით ვერ დაინახა სამართალდარღვევა, რაც ვერ უზრუნველყოფს ასეთი ფაქტების პრევენციას მომავალში).

საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება და მათი აგიტაციაში მონაწილეობა

შუალედურ ანგარიშში საუბარი იყო გორსა და ზუგდიდში საუბნო საარჩევნო კომისიების შესაძლო პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებაზე და, აგრეთვე, კომისიებში წინა არჩევნებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირების არჩევაზე. ჩვენ მივუთითებდით, რომ ასეთი პროცესით ხდება საუბნო კომისიებში პროფესიონალი კადრების ნაცვლად პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების არჩევა და ეს უარყოფითად

იმოქმედებდა არჩევნებზე. შედეგად, მთავარი პრობლემა 2016 წლის არჩევნების ორივე ტურსა და განმეორებით კენჭისყრაში იყო სწორედ საუბნო საარჩევნო კომისიების კვალიფიკაცია. კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ ამ პროცესში მიუკერძოებლობის და პროფესიონალიზმის პრიორიტეტად წამოწევის მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ჩვენი მისიის ფარგლებში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (პარტიული ნიშნით დანიშნული) მონაწილეობდა სააგიტაციო ღონისძიებაში, რაზედაც მივმართეთ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას.³ საოლქო კომისიის მიერ ჩატარებულმა მოკვლევამ მოიცვა თავად სავარაუდო სამართალდამრღვევის და საარჩევნო სუბიექტის გამოკითხვა, რომლებმაც უარყვეს კანონდარღვევა. მათ განაცხადეს, რომ ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებოდა საუბნო კომისიის თავმჯდომარე არ იყო პარტიის ორგანიზებული, თუმცა მათზე იმყოფებოდა კანდიდატი. არ მომხდარა მოწმეთა გამოკითხვა და არც ის გაირკვა, რატომ იმყოფებოდა კანდიდატი საბიუჯეტო ღონისძიებაზე (რაც სხვა სამართალდარღვევაა) ან კერძო პირის ორგანიზებულ ღონისძიებაზე (რაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონით, შესაძლოა, შემოწირულება იყოს). ამასთან, ორივე ღონისძიების ამსახველი ფოტომასალა ნათლად აჩენდა, რომ სუბიექტის სიმბოლიკა აქტიურად იყო გამოყენებული მათზე (დროშები, კეპები, მაისურები) და ისინი გამოქვეყნებული იყო კანდიდატის ფეისბუქ გვერდზე. ჩვენი აზრით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევა არაა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური და მიგვაჩნია, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ არანაირი სანქციის, მათ შორის, არც დისციპლინური სანქციის გამოყენებით საარჩევნო ადმინისტრაცია ახალისებს მათ მოხელეებს, თავის მართლებების გამოყენებით თავი დაიძვრინონ კანონდარღვევისაგან.

წინასაარჩევნო პერიოდის მთავარი პრობლემა - ურთიერთდაპირისპირება

ცალკე გვინდა გამოვყოთ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების უმთავრესი გამოწვევა - სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევების სიმრავლე.

ზუგდიდშიც და გორშიც რამდენჯერმე დაფიქსირდა პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს ხელშეშლის ფაქტები, რომლებშიც მმართველი ძალის აქტივისტები ან მასთან დაკავშირებული პირები მონაწილეობდნენ. რამდენიმე ასეთი შემთხვევა ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა. მათი სიმრავლე მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (საარჩევნო კოდექსის თანახმად, სწორედ მათ ევალებათ საარჩევნო შეხვედრებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა) და სამართალდამცავი ორგანოები საკუთარ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ და ვერ ახერხებდნენ ვერც პრობლემის პრევენციას და ვერც სიტუაციის დროულ განმუხტვას.

³ საჩივარი და მისი განხილვის პროცესი აღწერილია ცესკოს ადმინისტრირებულ საჩივრების რეესტრში: <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=3927> [უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 7 ნოემბერს].

მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტები წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას და გამოწვევას სამომავლოდ და მოუწოდებთ ყველა მხარეს იზრუნონ მის ეფექტურ გადაჭრაზე.

ამომრჩევლების ნების გამოვლენაზე ზეგავლენა

ახალგაზრდულ სადამკვირვებლო მისიას რამდენიმე წყაროდან მიაწოდეს დაუდასტურებელი ინფორმაცია ამომრჩეველთა ნების გამოხატვაზე ზეგავლენის შესახებ და შესაძლო ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებითაც.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა, ცალკეული პირები, მათ შორის, საჯარო მოხელეები და პოლიციელები ცდილობდნენ ამომრჩეველთა დარწმუნებას, მმართველი პარტიისათვის მიეცათ ხმა. იყო შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური ძალის აქტივისტებისაგან მოითხოვდნენ პოზიციის შეცვლას და ამისათვის მუქარასაც იყენებდნენ.

მართალია, მისიისთვის მიწოდებული ინფორმაციის სრული სიზუსტით დადასტურება შეუძლებელია, რადგან, ერთის მხრივ, ინფორმაციის წყაროს არ სურდა იდენტიფიცირებადი ყოფილიყო, მეორეს მხრივ კი, თავად მუქარის ადრესატები ერიდებოდნენ საჯარო განცხადებებს, ჩვენ შეგვიძლია ტენდენციებზე საუბარი. ამასთან, რამდენიმე ფაქტის შესახებ მედიის საშუალებითაც გავრცელდა ინფორმაცია. აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ ამ შემთხვევებით და დროული და ეფექტიანი რეაგირება მოხდეს. ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზეგავლენა, ისევე, როგორც მუქარა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

საარჩევნოდ დაგეგმილი ბიუჯეტები

გორის მუნიციპალიტეტების შესაძლო საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯები

წინასაარჩევნო პერიოდში გამოქვეყნებულ შუალედურ ანგარიშში აღვნიშნავდით, რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების კონტროლი, რათა არ ხდებოდეს საბიუჯეტო თანხების საარჩევნო მიზნით გამოყენება. ამისათვის ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვესწავლა ქალაქი გორის და გორის თემის ბიუჯეტები, ხარჯები, დასაქმებული პირების რაოდენობა, პრემიები და სხვა დეტალები. აგრეთვე შევისწავლეთ ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობა, გამოვითხოვეთ „ა(ა)იპ ქალაქი გორის ტურისტული განვითარების სააგენტოსაგან“.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებმა ინფორმაციის გაცემისას გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა, რომ გაეწელათ დრო, ამასთან, მიღებული ინფორმაცია არაა სრული. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტს ბიუჯეტი თვეების ან თუნდაც კვარტლების მიხედვით გაწერილი არ აქვს, რაც გაუგებარს ხდის ხარჯების დაგეგმვის და ბიუჯეტის შესრულების კონტროლის რა გზებს იყენებენ მუნიციპალური ორგანოები.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ მათი ბიუჯეტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მათ შორის, კვარტალურად გაწერილი ბიუჯეტი (რაც იძლევა ბიუჯეტის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას) და ამასთან, ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემას ექვემდებარება, რამდენადაც არ არის ერთმანეთთან დაუკავშირებელი დიდი მოცულობის მასალა, რომელიც დამუშავებას საჭიროებს (შესაბამისი ორგანოს ფინანსურ სამსახურს მზად უნდა ჰქონდეს ასეთი ინფორმაცია). თუნდაც 10 დღის მოთხოვნა ინფორმაციის გასაცემად მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები დაინტერესებული არ არიან ჰქონდეთ გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი და, შესაძლოა, ცდილობდეს გარკვეული ინფორმაციის დამალვას მასალის დამუშავებისას.

აქვე უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთ სამუშაო დღეს ინფორმაციის მიწოდებისათვის 10 დღიანი ვადის გამოყენების მიზეზის დასადგენად გორის მერიაში არ დაგვხვდა იურიდიული სამსახურის არც ერთი მოხელე სამუშაო საათებში. აუცილებელია, შესაბამისმა სამსახურმა აკონტროლოს თანამშრომლების ქმედებები სამუშაო საათებში, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, რათა გამოირიცხოს ინსტიტუციური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

ქალაქი გორის 2016 წლის ბიუჯეტში ფიქსირდება ხარჯების ზრდა წინა წლებთან შედარებით, რასაკვირველია ზოგადი ზრდა მისაღები ტენდენციაა, თუმცა თუ გადავხედავთ 2014 წლის და 2015 წლის მონაცემებს უფრო მეტია მსგავსება და თანხვედრა ვიდრე 2016 წლის ბიუჯეტთან, სადაც აშკარად გაზრდილია ხარჯები. 2015 წლისაგან განსხვავებით ყველა სფეროში უფრო მეტი ხარჯია გაწეული; ქალაქი გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია და სხვა. ყველა ჩამოთვლილ სფეროში შეინიშნება აშკარა მატება ხარჯებთან დაკავშირებით, ცვლილებას არ განიცდის მხოლოდ რამდენიმე მათგანი როგორცაა მაგალითად: გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. იმ პირობებში როდესაც ქალაქის მასშტაბით მხოლოდ 1 სკვერი გაკეთდა 2016 წლის პირველ ორ კვარტალში, მესამე (წინასაარჩევნო) კვარტალში თითქმის ათი მათგანის აშენება ან რეაბილიტაციაა დაგეგმილი. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს შრომის ანაზღაურება, დასაქმებულ პირებზე გაწერილი ხარჯი, 2014 წლის მონაცემებთან შედარებით დაახლოებით 5 პროცენტით იმატა 2015 წლის ხარჯმა, 2016 წლის ბიუჯეტში კი 5 თებერვალს კიდევ უფრო მეტი გაიწერა ამ მიმართულებით, საგულისხმოა ისიც, რომ 5 თებერვლის N5 დადგენილების გამოცემის შემდეგ მერიას შეემატა ძალიან ბევრი თანამშრომელი, 1 სექტემბერს ქალაქი გორის მერიამ დაიწყო დასაქმების პროგრამა.

რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ მისიის წარმომადგენელთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ცალკეული ა(ა)იპ-ები გამოიყენება პოლიტიკური მხარდამჭერების დასასაქმებლად ან ფინანსურად წასახალისებლად. შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ ქ. გორის მუნიციპალიტეტის

ტურისტული განვითარების სააგენტოს საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა. ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით საგრძნობლად მომატებულია (2015-175 000 / 2016 – 206 700), გაზრდილია როგორც საოფისე ხარჯები, ასევე სახელფასო თანხაც. მიუხედავად იმისა, რომ საშტატო თანამშრომელთა რაოდენობა 30 დარჩა წინა წლის მსგავსად, თანხა გაიზარდა 131 980 ლარიდან 162 970 ლარამდე, ამასთან გაზრდილია შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი 15 075 ლარიდან 19 525 ლარამდე. ეს ყველაფერი კი წარმოშობს ეჭვს, რომ ხდება წინასაარჩევნოდ მოტივირებული ხარჯვა. როგორც წესი, ნებისმიერი იურიდიული პირი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, ამ შემთხვევაში კი გაწერილ ბიუჯეტს გაცილებით აჭარბებს ხარჯთა რაოდენობა და პროექტებისთვის ფაქტობრივად ბიუჯეტში განსაზღვრული არაა თანხა, თუ პროექტები, ექსკურსიები, ტურისტული მარშუტები და გასვლები არ არის გაწერილი სწორედ ამ მიზნით შექმნილ ორგანიზაციაში, ეს ამყარებს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებებს, რომ ხდება საარჩევნოდ ცალკეული პირების ფინანსური წახალისება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შესაძლო საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯები

მისამ აგრეთვე შეისწავლა ქალაქ ზუგდიდის მერიისა და თემის ბიუჯეტი, გამოვითხოვეთ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან ბიუჯეტით განხორციელებულ ღონისძიებებში დახარჯული ფულადი სახსრების შესახებ ინფორმაცია, თუმცა მივიღეთ მხოლოდ დაჯილდოებებისა და კულტურულ ღონისძიებათა მსვლელობისთვის გაწეული დანახარჯები. მოგვიანებით შევძელით მოგვეპოვეთ ყველა ღონისძიებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია. მიღებული ინფორმაციის არასრულყოფილების გათვალისწინებით, შევძელით ქალაქ ზუგდიდის მერიის მიერ გაწეული ხარჯების გარკვეული ანალიზი, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა შესაძლო ტენდენციების გამოკვეთისათვის.

დავაკვირდით პერიოდის ტენდენციებს წინა წელთან მიმართებაში და გამოიკვეთა მკვეთრი სხვაობა კულტურულ ღონისძიებებში, 2016 წელს მეტი ფინანსური ხარჯებია გაწეული მსგავს ღონისძიებებში. მაგალითად, ცალკეულ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე, 2016 წლის დანახარჯი ბევრად აღემატება 2015 წლისას, კერძოდ, გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 2015 წელს 1,041,700 ლარით დაფინანსდა, ხოლო 2016 წლის სექტემბრის ჩათვლით გამოყენებული ბიუჯეტი უკვე შეადგენს 2,673,000 ლარს.

სამწუხაროდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მხრიდან მიღებული ინფორმაციის ხარისხმა არ მოგვცა საშუალება უფრო დეტალური ანალიზი გაგვეკეთებინა. საერთო ჯამში ზუგდიდში არ იყო იმდენად დიდი მოცულობის ზრდა ცალკეულ პროექტებში, რომ საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯვის მასშტაბი საგრძნობად მივიჩნიოთ.

I ტური

ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია აკვირდებოდა ზუგდიდის და გორის ოთხივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს. არჩევნების პირველი ტური ამ ერთეულებში უმეტესწილად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი და დარღვევების ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ, თუმცა ხმის დათვლის პროცედურებისას გამოკვეთილი ძალადობა კენჭისყრის დღის საკმაოდ მძიმე დასასრული იყო.

კვალიფიკაციის ნაკლებობა - დარღვეული პროცედურები

საარჩევნო დღის დასაწყისიდანვე დაფიქსირდა რამდენიმე უმნიშვნელო, თუმცა სიმრავლით გამორჩეული პროცედურული დარღვევები. გარდა იმისა, რომ რამდენიმე უბანზე დროულად ვერ მოხერხდა გახსნის პროცედურების დასრულება და კენჭისყრა დაგვიანებით დაიწყო, რამდენიმე კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნულმა წევრებმა პოლიტიკური პარტიის ინტერესების მოქმედება არჩიეს კანონის დაცვას და უარი განაცხადეს ფუნქციათა გასანაწილებელ წილისყრაში მონაწილეობაზე. სამწუხაროდ, ამ ფაქტს ზემდგომი კომისიების მხრიდან არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება, რის გამოც, იგი მეორე ტურშიც გამოვლინდა.

გარდა ამისა, დამკვირვებლებსაც შეექმნათ უბანზე შესვლის პრობლემა რამდენიმე უბანზე, რაც უმეტესწილად კანონის ნორმების არცოდნით იყო გამოწვეული (სამკერდე ნიშანზე ითხოვდნენ ოლქის ნომრის არსებობას, პროექტის მაისურს აგიტაციად აღიქვამდნენ).

აღსანიშნავია, რომ უბნის გახსნის პროცედურების დაცვა რამდენიმე უბანზე რთული იყო, ერთ-ერთ უბანზე კი საკონტროლო ფურცლის შევსების წესიც კი დაირღვა, იმგვარად, რომ მისიას ამ უბანზე კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობის ავთენტურობის არ სჯერა და მოვითხოვდით უბანზე კენჭისყრის შეწყვეტას. მოცემულ ფაქტზე ასევე მოვითხოვდით საუბნო კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁴ უნდა გამოვყოთ ის გარემოება, რომ ზეპირი განხილვისას საოლქო კომისიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და გამოიყენა თავმჯდომარის მიმართ გაფრთხილება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (თუმცა, ჩვენი მოთხოვნა უფრო მკაცრი ზომის გამოყენება იყო). მოგვიანებით კი, საჩივრების რეესტრში ატვირთულ

⁴ ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ კომისიის თავმჯდომარეა ინეზა მურდულია, რომლის კამპანიაში მონაწილეობის გამო, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას წინასაარჩევნო პერიოდშიც ვითხოვდით. ამ ფაქტმა გამოავლინა, რომ მურდულია არ წარმოადგენს კვალიფიციურ საარჩევნო მოხელეს.

გადაწყვეტილებაში აღარაა მითითებული ეს სანქცია და მისიის საჩივარი მთლიანად არ დაკმაყოფილდა.⁵

ხმის მიცემის დროს ტენდენციის სახით დაფიქსირდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან უფლებამოსილების შესრულების სხვა პრობლემები, ცალკეულ უბნებზე უმეტესწილად რეგისტრატორი კომისიის წევრების მხრიდან ვერ სრულდებოდა ვალდებულებები სრულყოფილად, რაც იწვევდა ხარვეზებს.

ზუგდიდის ერთ-ერთ უბანში (65.67.83) ამომრჩეველმა ხელმოწერის გარეშე კი მისცა ხმა და ჩააგდო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში, ამომრჩეველი რამდენიმე წუთის შემდგომ ისევ დაბრუნდა უბანში და რეგისტრატორმა მისცა უფლება ხელი მოეწერა. რეგისტრატორების მხრიდან, როგორც აღინიშნა, არაერთ უბანში დაფიქსირდა პროცედურების არასრულყოფილი შესრულება, რაც მიუთითებს მათ დაბალ კვალიფიციურობაზე. უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება კი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველია.

ზემოთაღნიშნული არაერთი პროცედურული დარღვევა, მიუხედავად მათი მცირე მნიშვნელობისა, მეტყველებს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პრობლემაზე და, აგრეთვე, დარღვევებზე არასათანადო რეაგირების გამო მიღებულ შედეგებზე.

აგიტაცია საარჩევნო უბანზე

კენჭისყრის დღეს ასევე დავაფიქსირეთ შემთხვევები, როდესაც კენჭისყრის შენობაში ხდებოდა აგიტაცია, რაც საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევაა, ერთ-ერთ უბანზე კი ასეთ ქმედებას საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ეწეოდა, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ფულადი ჯარიმის დაკისრების საფუძველია და სწორედ ამ მოთხოვნით მივმართეთ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიკვლია ფაქტი და მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი დადასტურდა, მიიჩნია, რომ დროულად აღმოიფხვრა წარმომადგენლის მიერ კენჭისყრის შენობის დატოვებით.⁶

წარმომადგენლის მიერ ვალდებულებების დარღვევა, მათ შორის, აგიტაცია უბანზე წარმოადგენს სამართალდარღვევას ჩადენის მომენტიდანვე და მისი შეწყვეტა პასუხისმგებლობის დაკისრებას არ გამორიცხავს. საოლქო საარჩევნო კომისიის ამგვარი ზერელე დამოკიდებულება დარღვევისადმი ახალისებს მის მომავალში ჩადენას და ვერ ახდენს კანონდარღვევის ეფექტურ პრევენციას.

⁵ იხ. გადაწყვეტილება: <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=3999> [უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 10 ნოემბერს]

⁶ იხ. გადაწყვეტილება: <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=4003> [უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 10 ნოემბერს].

ხმის დათვლის პროცესი - ძალადობა და არჩევნების შავი ლაქა

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები ზუგდიდში ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, ხმის დათვლის დროს რამდენიმე უბანზე საკმაოდ დაიძაბა ვითარება. ზუგდიდის თემის სოფლებში მომხდარი ინციდენტების დროული გამოძიება, ისევე, როგორც მკაცრი რეაგირება აუცილებელია. მისასალმებელია, რომ ასეთ ფაქტებზე საარჩევნო ადმინისტრაციამაც მოახდინა რეაგირება და უბნები, სადაც ეჭვის ქვეშ დადგა არჩევნების შედეგების ავთენტურობა, გაბათილდა.

მიუღებელია ძალადობა და სიტყვიერი თუ ფიზიკური ანგარიშსწორება, რომელიც ჯიხაშკარის და კოლხიდას უბნებზე დაფიქსირდა, განსაკუთრებით კი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე. ასევე დაირღვა ამომრჩევლების ხმის უფლება, რადგან დადგა უბნის შედეგების ბათილობა. მისასალმებელია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დროულად დააკავეს მონაწილე სავარაუდო პირები, თუმცა მათ წინააღმდეგ სათანადო სანქციის გამოყენების გარეშე, ვერ მოხდება ასეთი შემთხვევების პრევენცია.

გამოძიება უნდა მოხდეს განმუხურის უბანზე განვითარებულ მოვლენებზეც, სადაც ყუთის დაკარგვის ფაქტი დაფიქსირდა და პასუხისმგებელი პირების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი სანქციები.

მიგვაჩნია, რომ არჩევნების პირველ ტურზე ხმის დათვლისას მომხდარმა ფაქტებმა ცხადყო, რომ სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახდენენ საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების სათანადო უზრუნველყოფას და ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გახდეს მომავალში ყურადღების საგანი.

განმეორებითი კენჭისყრა

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

განმეორებითი კენჭისყრა 2016 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს მასშტაბით 4 უბანზე ჩატარდა, რომელთაგან 3 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შედიოდა. ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია სამივე უბანზე აკვირდებოდა ხმის მიცემის და დათვლის პროცედურებს. მთელი დღის განმავლობაში უმეტესწილად უმნიშვნელო და ტექნიკური ხასიათის დარღვევები დაფიქსირდა, რომლებიც ძირითადად კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები, რომლებიც არსებითად უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე. ერთი ფაქტი მოიცავდა ერთ-ერთი დამკვირვებლის მიერ რამდენჯერმე ჩადენილ დარღვევას, როდესაც იგი ხმის მიცემის კაბინაში შეხედვით ადგენდა ამომრჩევლის გაკეთებულ ნებას. ხოლო მეორე შემთხვევაში, ამომრჩევლები ღია ბიულეტენით გამოდიოდნენ კაბინიდან, რითაც კომისიის წევრები იგებდნენ მათ მიერ გაკეთებული არჩევნის შესახებ.

ხმის მიცემის ფარულობა წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს და უფლებას, რომლის დაცვაც საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთი უპირველესი ვალდებულებაა. განმეორებით კენჭისყრაზე დაფიქსირებულ შემთხვევებზე კი ფაქტობრივად არანაირი რეაგირება არ მომხდარა. დამკვირვებელს, რომელიც უხეშად არღვევდა ამომრჩეველთა უფლებას, ფარულად მიეცათ ხმა - არ დაკისრებია არანაირი სანქცია. საოლქო კომისიის განცხადებით, რამდენადაც დამკვირვებელმა უბანი დატოვა რამდენჯერმე მიღებული შენიშვნის შედეგად, დარღვევა აღმოფხვრილია.⁷

ცალსახად და მკაფიოდ ვგმობთ საოლქო კომისიის ამგვარ ზერელე დამოკიდებულებას საქართველოს კონსტიტუციისა და კანონისადმი. დაუშვებელია ასეთ დარღვევაზე პასუხისგების გარეშე დარჩეს პირი. სწორედ ამის შედეგი იყო მეორე ტურზე კიდევ უფრო მეტი შემთხვევა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით. ფაქტებზე სათანადო და ადეკვატური რეაგირების არარსებობა ახალისებს მსგავსი დარღვევების ჩადენას და არსებითად ნეგატიურად მოქმედებს საარჩევნო გარემოზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფაქტისადმი ზერელე და ცინიკური დამოკიდებულება გამოიჩინა სამივე დონის საარჩევნო ადმინისტრაციამ, როდესაც სრულიად უმნიშვნელო ფაქტზე ხდებოდა ფოკუსირება და მთავარი - ფარულობის პრინციპის უხეში დარღვევა, - უკანა პლანზე გადადიოდა. ცესკოს მხრიდან მედიაში ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებისას სწორედ ეს მოხდა. ვწუხვართ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარი ვალდებულების დაცვის ნაცვლად თავის მართლების პოზიციიდან ცდილობს მნიშვნელობა დაუკარგოს ფაქტებს.

არჩევნების მეორე ტური

2016 წლის 30 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტური ზუგდიდისა და გორის მუნიციპალიტეტებში უმეტესად მშვიდად და მცირე ხარვეზებით მიმდინარეობდა, თუმცა ხაზი უნდა გაესვას გორში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს და ზუგდიდში დაფიქსირებულ საკმაოდ მძიმე ტენდენციას - ხმის მიცემის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით. ორივე მოვლენა უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე და აჩენს კითხვის ნიშნებს, ხომ არ ჰქონდა ადგილი უფრო სერიოზულ სისტემურ პრობლემებს.

დაპირისპირება და წესრიგის დარღვევა

⁷ უნდა აღინიშნოს, რომ სადამკვირვებლო მისიის საჩივარი, რომლითაც ვითხოვდით დამკვირვებლის მიმართ სანქციის გამოყენებას და საუბნო კომისიის წევრთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, საოლქო კომისიამ განუხილველად დატოვა, რამდენადაც მიიჩნია ხმის მიცემის პროცედურების თაობაზე საჩივრად და ვადაგადაცილებულად ჩათვალა ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეტანილი საჩივარი. საჩივრის მოთხოვნა იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირება, რაც არ წარმოადგენს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხს და არც სპეციალურ ვადებს ითვალისწინებს, ზოგადი ხანდაზმულობის გარდა. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ საოლქო კომისიას არ ჰქონია ნება, სათანადო რეაგირება მოეხდინა კანონდარღვევაზე, რითაც წაახალისა ამდაგვარი ქმედებები. იხ. საჩივრების რეესტრი: <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5361> [უკანასკნელად გადამოწმდა 10 ნოემბერს]

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მთავარმა გამოწვევამ - ურთიერთდაპირისპირებამ არჩევნების დღესაც იჩინა თავი, მათ შორის, მეორე ტურზე. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის ცემის ფაქტი ცხადყოფს, რომ არც პოლიტიკური ძალები და არც სამართალდამცავი ორგანოები არ დგანან მოწოდების სიმაღლეზე და საჭიროა ამ მიმართულებით სერიოზული ძალისხმევა. ისევე, როგორც კენჭისყრის დროს საუბნო საარჩევნო კომისიის პრაქტიკული შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ დროული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ წესრიგის და უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებზე.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელიც 30 ოქტომბრის მეორე ტურის დროს დაფიქსირდა იყო ხმის მიცემის კაბინაში ფოტო-გადაღების ფაქტები. ერთ-ერთ შემთხვევაში კი ამომრჩეველმა წინასწარ ითხოვა ფოტოს გადაღების უფლება თუ ჰქონდა, რაზედაც კომისიის თავმჯდომარემ თანხმობა განუცხადა. გარდა ამისა, მივიღეთ ინფორმაცია, რომ რამდენიმე ამომრჩეველმა ფოტო გადაუღო ბიულეტენსაც და საკუთარ პირადობის მოწმობასაც ერთდროულად, რაც ნაკლებ სავარაუდოა, წარმომადგენელს სოციალურ ქსელში გასაჯაროებელ ფოტოს და, შესაძლოა, ისინი ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედებისთვის გამოიყენებოდეს. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ისევე, როგორც ნების გამოვლენაზე ზემოქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია და საგამოძიებო ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოიკვლიონ აღნიშნული ფაქტები.

საოლქო საარჩევნო კომისიაში აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარში მისიის დამკვირვებელს მოწმეც ჰყავდა მითითებული და სათანადო მოკვლევის პირობებში ამომრჩევლის იდენტიფიცირების შესაძლებლობაც არსებობდა, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ზედაპირული გამოკვლევა მოხდა ფაქტის. აუცილებელია, ზემდგომმა საარჩევნო ადმინისტრაციებმა მკაცრი რეაგირება მოახდინონ საუბნო კომისიის წევრების მიმართ, რადგან სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ ხმის მიცემის ფარულობა და ამ საკითხზე ადექვატური შედეგების დადგომის გარეშე მომავალშიც ვერ გამოირიცხება იგივე სიტუაციის განმეორების შანსები.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე კაბინაში ფოტო-გადაღებით ხდებოდა ამომრჩევლის მიერ განხორციელებული არჩევანის კონტროლი და, შესაბამისად, ამ გზით ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედება. რამდენადაც მისიის რამდენიმე დამკვირვებელმა დააფიქსირა მსგავსი შემთხვევა (უმეტესწილად ესმოდათ, კაბინაში ფოტოს გადაღებისას აპარატის ხმა), კითხვის ნიშნები ნამდვილად ჩნდება.

დამკვირვებლის საქმიანობისთვის ხელის შეშლა

ზუგდიდის ერთ-ერთ უბანზე დამკვირვებელს დილიდან ექმნებოდა პრობლემები, როდესაც მას არ მიეცა უბანზე შესვლის საშუალება, შემდგომ კი დარღვევაზე რეაგირებისას საჩივრის რეგისტრაციაზე აცხადებდა კომისია უარს. ერთ საათზე მეტი, საოლქო კომისიის

ჩართულობა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად მისვლა გახდა საჭირო საჩივრის რეგისტრაციაში გატარებისათვის. დამკვირვებლისათვის ხელის შეშლა კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და ფულად ჯარიმას ითვალისწინებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან არ მომხდარა რეაგირება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მომხდარ ფაქტს და ახალისებს საუბნო საარჩევნო კომისიის უარყოფით დამოკიდებულებას დამკვირვებლებისადმი. ამ კონკრეტულ უბანზე მთელი დღის განმავლობაში პრობლემური იყო დამკვირვებლებთან ურთიერთობა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის აქტიური ჩართულობის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა კენჭისყრის პროცესზე დაკვირვება. მიუხედავად ამისა, შესაბამისი კომისიის არც ერთ წარმომადგენელს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომაც კი არ დაკისრებია.

აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლებისადმი ნეგატიური განწყობა, მათთვის ხელის შეშლის მცდელობა ორივე ტურზე გამოიკვეთა. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბების გათვალისწინებით რამდენიმე ასეთი დარღვევა უკვე მიუთითებს ტენდენციაზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ცალკეულ შემთხვევებში საარჩევნო ადმინისტრაცია ცდილობდა ეთანამშრომლა სადამკვირვებლო მისიასთან, ზეპირი შენიშვნების ან ტელეფონზე დარეკვის შედეგად ხშირად სიტუაცია სწორდებოდა. თუმცა საჩივრის დაწერის შემდეგ დამოკიდებულება რადიკალურად იცვლებოდა. საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან ყველა საჩივარზე უარყოფითი პასუხი და ფაქტების სრული იგნორირება ამის ნათელი მაგალითია. გარდა ამისა, განმეორებითი კენჭისყრისას ცესკოს პრეს-სამსახურის მხრიდან ზერელე დამოკიდებულება ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ფაქტზე ასეთ განწყობას დამატებით ახალისებს.

აუცილებელია, საარჩევნო ადმინისტრაციამ გაითავისოს, რომ სადამკვირვებლო მისიები მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის და კანონის ზედმიწევნით დაცვისთვის არიან მობილიზებული და ჩვენი თვითმიზანი არაა საჩივრების წერა ან რომელიმე პირისათვის სანქციის დაკისრება. სწორედ ამიტომ ხდებოდა წერილობითი რეაგირება უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ, როდესაც ზეპირი შენიშვნებით შედეგი არ მიიღწეოდა.

მთავარი გამოწვევა - კვალიფიკაცია

არჩევნების ყველა ეტაპმა და, მათ შორის, მეორე ტურმა ცხადყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაცია უმთავრესი და უმძიმესი გამოწვევაა. ძალიან მრავლად იყო ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ერთიანობაში ნეგატიურ სურათს იძლევა. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში თუნდაც მცირე დარღვევებზე რეაგირების არქონა მიუთითებს, რომ არ არსებობს მზაობა, პრობლემები ეფექტიანად გადაიჭრას. მაგალითისათვის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნული წევრების მხრიდან მეორე ტურშიც ხდებოდა წილისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმა, რაც მათი ვალდებულების პირდაპირი დარღვევაა. აღნიშნულზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ მოხდა პირველ ტურში, რამაც ვერ გამორიცხა მეორე ტურში იმავე დარღვევის ჩადენა. ანალოგიურად, რეგისტრატორი კომისიის წევრების მხრიდან არაერთხელ დარღვეული პროცედურა

სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა პირველ ტურში, რის გამოც, მეორე ტურშიც პრობლემური იყო ეს პროცედურები.

მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშში მითითებული პრობლემა - საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება წარმოადგენს კვალიფიკაციის წყაროს. აუცილებელია, ყოველ დარღვევაზე სათანადო რეაგირება და მომავალ არჩევნებზე სწორედ ისეთი კადრებისათვის უპირატესობის მინიჭება, ვინც უფრო მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

შეჯამება

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გამორჩეული არჩევნები იყო. პირველად ჩატარდა თითქმის მთელს ქვეყანაში არჩევნების მეორე ტური, წინასაარჩევნო პერიოდი არსებითად განსხვავდებოდა 2012 წლის იმავე არჩევნებისაგან და იყო ბევრი სხვა ასპექტი.

ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა და წარმოჩინდა პრობლემები, რომლებზედაც აუცილებელია მომავალში მუშაობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოცემულ ანგარიშში გამოყოფილი რეკომენდაციები.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ 2016 წლის არჩევნები იყო დემოკრატიული და სამართლიანი, თუმცა არ წარმოადგენდა საუკეთესოს, მაგალითად 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან ან 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით საკმაოდ მრავლად იყო ისეთი ტიპის პრობლემები, რომლებიც სისტემურ მიდგომას საჭიროებს.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საგრძნობლად შემცირებული პრაქტიკა. ამასთან, მისასაღმებელია ცესკოს მზაობა შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების თაობაზე. სასურველია, იგივე მოხდეს საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზეც და მაქსიმალურად გამოირიცხოს სახელმწიფო რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენების შემთხვევები. ასევე, სახელმწიფო და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გაუძღონ ცდუნებას და შეიკავონ თავი საბიუჯეტო სახსრების თუ სხვა რესურსების კამპანიისთვის გამოყენებისაგან.

პირველ რიგში აუცილებელი საარჩევნო სისტემაზე მუშაობა და მოხარული ვართ, რომ ხელისუფლება მზადაა ამ მიმართულებით გადადგას ნაბიჯები. აუცილებელია, ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო პრაქტიკა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და კონსტიტუციური სტანდარტები.

- ▶ *სახელმწიფო და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გაუძღონ ცდუნებას და შეიკავონ თავი საბიუჯეტო სახსრების თუ სხვა რესურსების კამპანიისთვის გამოყენებისაგან.*
- ▶ *საარჩევნო სისტემაზე მუშაოდ და სამართლიანად უნდა ასახავდეს ამომრჩეველთა ნებას.*
- ▶ *შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაითავისონ საკუთარი ვალდებულებები უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და მომავალი არჩევნებისთვის უნდა გამოიძებნოს ეფექტიანი გზა ამ პრობლემის გადასაჭრელად.*
- ▶ *საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიკაცია და დარღვევებზე ეფექტური რეაგირებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.*
- ▶ *აუცილებელია კონსტიტუციური პრინციპის - ხმის მიცემის ფარულობის და ნების თავისუფალი გამოვლენის დასაცავად ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა.*

საარჩევნო სისტემა ზუსტად და სამართლიანად უნდა ასახავდეს ამომრჩეველთა ნებას.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი საარჩევნო პროცესებში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების საკითხს. როგორც ანგარიშში გამოიკვეთა, ურთიერთდაპირისპირებები წინასაარჩევნო პერიოდში, ისევე, როგორც არჩევნების დღეს მთავარი გამოწვევა იყო. განსაკუთრებით პრობლემურია ხმის დათვლის დროს ძალადობის ფაქტები, რაც ცალკეული ამომრჩევლების ხმის უფლებას არღვევს. ამ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისმა ორგანოებმა გაითავისონ საკუთარი ვალდებულებები და მომავალი არჩევნებისთვის უნდა გამოიძებნოს ეფექტიანი გზა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

კვლავ პრობლემად რჩება საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხი, რაც შედეგად კენჭისყრის პროცედურების საკმაოდ მრავალრიცხოვან დარღვევებს იწვევს. ამასთან, შეუძლებელია პროცედურების ზედმიწევნით დაცვას მივალწიოთ, თუ არ მოხდება თითოეულ პრობლემაზე სათანადო რეაგირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეულმა მოხელემ რამდენიმე სასწავლო კურსი გაიარა, თუმცა პროცედურების დარღვევა მაინც ხშირად ხდებოდა, დამკვირვებლების მიერ სათანადო მითითების მიუხედავადაც კი. ამიტომ, აუცილებელია დარღვევების პრევენციის ამ მექანიზმის გამოყენებაც.

საკმაოდ სერიოზულ პრობლემად მიგვაჩნია კენჭისყრის დროს ფარულობის დარღვევის შემთხვევები, მით უმეტეს, რომ ეს აშკარად არ წარმოადგენდა განყენებულ შემთხვევებს და გარკვეულ სისტემურ ხარვეზს წარმოადგენს. საჭიროა მუშაობა ასეთი შემთხვევების გამორიცხვის მიზნით და, ამასთან, აუცილებელია, თითოეული ფაქტი სათანადოდ იქნეს გამოკვლეული, რათა კონსტიტუციური პრინციპები დაცული იყოს.

მიგვაჩნია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ხარვეზების და ტენდენციების გამოსწორების მთავარი გზა პოლიტიკურ ნებაშია. საკანონმდებლო ორგანომ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება გააუმჯობესოს საარჩევნო სისტემა და არჩევნების მომწესრიგებელი ცალკეული ნორმები, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოების დაცვა არჩევნების ყველა ეტაპზე, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციამ იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებასა და კანონის ზედმიწევნით დაცვაზე.

ანგარიში გამოცემულია პროექტის „ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია“ ფარგლებში, პროექტს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები „საუნჯე“, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“, „ნაბიჯი სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ“ და „ჰელფინგ ჰენდი“. პროექტი დაფინანსებულია „ნაციონალური წვლილი დემოკრატიისათვის“ მიერ.

სახელმძღვანელოს შინაარსი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს „ნაციონალური წვლილი დემოკრატიისათვის (NED)“ პოზიციას და მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციები „საუნჯე“, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“, „ნაბიჯი სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ“ და „ჰელფინგ ჰენდი“.

პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციების ერთობლივი პროექტები ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია ნაციონალური წვლილი დემოკრატიისათვის (NED) მხარდაჭერით. ორგანიზაციების მისიაა ვემსახუროთ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და განვითარებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია კმაყოფილები ვიყოთ ჩვენ, კმაყოფილები იყვნენ ჩვენი ბენეფიციარები და ჩვენი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები საქმიანობის მაღალი ხარისხით და გამჭვირვალობით.

პროექტს „ახალგაზრდული სადამკვირვებლო მისია“ ჰქონდა სამი ძირითადი ამოცანა:

1. ახალგაზრდების ინფორმირებულობა არჩევნების მნიშვნელობასა და საარჩევნო სამართლის ძირითად საკითხებზე;
2. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი და შეფასება;
3. არჩევნების დღის დაკვირვება და დასკვნის გამოქვეყნება.

ნოემბერი, 2016

ზუგდიდი, რუსთაველის 52.

თბილისი, ალ.ყაზბეგის 47.

ელ-ფოსტა: cgfd.ge@gmail.com

ტელ.: +995 555 199 798

<https://www.facebook.com/YEM.CGFD/>